ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №32

ქ. თბილისი **2010 წლის 16 დეკემბერი**

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 32 წევრი: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. კარტოზია გიორგი 5. მესხორაძე გიორგი 6. ჩაბაკური გიორგი 7. გალდავა გიორგი 8. მარგველიშვილი ვლადიმერი 9. ფაღავა ზურაბი 10. ცინცაძე ნინო 11. თურქიაშვილი შორენა 12. შამილიშვილი მანანა 13. წერეთელი მარი 14. ნახუცრიშვილი კონსტანტინე 15. ჩოხელი ლევანი 16. ბარამიძე ცირა 17. ბრაჭული ირაკლი 18. გელოვანი ნანი 19. ლიჩელი ვახტანგი 20. ლორია კახაბერი 21. პაიჭაძე თამარი 22. ახლოური ბექა 23. ზივზივაძე ვახტანგი 24. ჯღამაძე უჩა. 25. თუთბერიძე ბეჟანი 26. ომანაძე როლანდი 27. ხაჩიძე მანანა 28. ჭლიკაძე გივი 29. კვერენჩხილაძე გიორგი 30. ბენდელიანი ბექა 31. პაპაშვილი თამარი 32. ჭალიძე ივერი (დანართი 1)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ქონების გადაცემის საკითხი.

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურის ცვლილებები

3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელის (უფროსის) დამტკიცება.

4. სხვადასხვა

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა 26.11.2010 წელს მიმართა წარმომადგენლობით საბჭოს (მომართვა №248/01/02-14-13) საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ივლისის №185, 27 ივლისის №210 და 2010 წლის 15 ნოემბრის №346 დადგენილებების საფუძველზე თსუ-თვის შემოერთებული კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების ბალანსზე არსებული ქონების თსუ-თვის გადმოცემის პროცედურის დაწყების მიზნით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, არჩილ კუკულავამ, რომელმაც განმარტა, თუ რას ითვალისწინებდა საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების შემოერთება და რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვებოდა მას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია. აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: ელგუჯა მექვაბიშვილმა, გიორგი გალდავამ, ზურაბ ფაღავამ. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები დაინტერესდნენ თუ რა სტატუსით იქნებოდნენ აღნიშნული კვლევითი ინსტიტუტები თსუ-ში, ასევე გადმოჰყვებოდა თუ არა მათ თავიანთი ბიუჯეტი. ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთეს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, დავით ჩომახიძემ და იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, არჩილ კუკულავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 32

მოწინააღმდეგე: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ივლისის №185 და 27 ივლისის №210, ასევე 15 ნოემბრის №346 დადგენილებების საფუძველზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის შემოერთებული სსიპ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის, რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის,

მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტების, სსიპ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შპს „საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის“ ბალანსზე არსებული ქონების გადმოცემის მიზნით დაიწყოს შესაბამისი პროცედურების განხორციელება.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, დავით ჩომახიძემ წარმოადგინა თსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურის ცვლილებების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის გაუქმებას, ასევე ზოგიერთი სხვა ერთეულისათვის სტატუსის შეცვლასა და ლაბორანტებისათვის, უფროსი ლაბორნატებისათვის, ინჟინრებისა და უფროსი ინჟინრებისათვის 2011 წელს ხელფასის თვეში 100 ლარის ოდენობით ზრდას. ასევე ცვლილებების პროექტის მიხედვით, საშტატო განრიგში გათვალისწინებულია სპეციალისტების ორი კატეგორია: მთავარი სპეციალისტი და უფროსი სპეციალისტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობIთი საბჭოს წევრებმა: ცირა ბარამიძემ და მანანა ხაჩიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 32

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ცვლილებები თსუ-ს ადმინსიტრაციის სტრუქტურაში, წარმოდგენილი სახით. (დანართი 2)

3. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ საბჭოს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელის (უფროსის) თანამდებობაზე წარუდგინა დიმიტრი გეგენავას კანდიდატურა. სპიკერის განმარტებით, დიმიტრი გეგენავა თსუ-ში მუშაობს 2009 წლის ოქტომბრიდან და

იგი ადრეც აქტიურად თანამშრომლობდა სენატთან სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

დ. გეგენავას კანდიდატურასთან დაკავშირებით აზრი გამოხატა წარმოამდგენლობითი საბჭოს წევრმა გიორგი კვერენჩხილაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კანდიდატთან ჰქონდა შეხება როგორც პროფესორს რამდენიმე სალექციო კურსის განმავლობაში და აძლევს რეკომენდაციას. მისი აზრით, დიმიტრი გეგენავა ბრწყინვალედ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. რასაც დაეთანხმა ადმინისტრაციის ხელმღვანელი, დავით ჩომახიძე, რომელმაც დიმიტრი გეგენავას აგრეთვე გაუწია რეკომენდაცია საბჭოს წინაშე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 32

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დიმიტრი გეგენავა დამტკიცებულ იქნას თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს ხელმძღვანელად (უფროსად).

4. სხვადასხვა

წარმოამდგენლობითი საბჭოს წევრებმა ბეჟან თუთბერიძემ და გიორგი კვერენჩხილაძემ წამოჭრეს თსუ-ს მაღლივი კორპუსიდან ვაკის კორპუსებისაკენ და პირიქით ტრანსპორტის უზრუნველყოფის საკითხი, განსაკუთრებით გამოცდების პერიოდში.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა გიორგი გალდავამ აღნიშნა თსუ-ს პირველ და მეორე კორპუსების ტერიტორიაზე თანამშრომლების ავტომობილებზე საშვის გაცემის საკითხი. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა საბჭოს აღუთქვა პრობლემის დაუყოვნებლივ გადაჭრა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ცირა ბარამიძემ დასვა თსუ-ს სტუდქალაქის საკითხი და აღნიშნა, რომ შესაბამისი პირობების არარსებობის გამო უნივერსიტეტი ყოველწლიურად იძულებულია უარი უთხრას რამდენიმე

ათეულ სტუდენტს. ამასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურებს უკვე დაწყებული აქვთ მუშაობა და იგეგმება სტუდქალაქის დაცლა და მასში მცხოვრები დევნილებისათვის ალტერნატიული ფართების შეთავაზება, თუმცა საკითხის უაღრესად დელიკატური ხასიათის გათვალისწინებით, მისი გადაწყვეტა გარკვეულ დროს მოითხოვს.

საკითხებთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კ. ლორია

სხდომის მდივანი: ბ. ბენდელიანი

თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა (თსუ, 16 დეკემბერი, 2010წ.)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- კარტოზია გიორგი
- მესხორაძე გიორგი
- ჩაბაკაური გიორგი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გალდავა გიორგი
- მარგველიშვილი ვლადიმერი
- ფაღავა ზურაბი

სტუდენტები:

- ცინცაძე ნინო

სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ზივზივაძე ვახტანგი
- ჯღამაძე უჩა

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- ხაჩიძე მანანა
- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

3. გუბაძე ვასილი
4. ჭლიკაძე გივი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,

ბ-ნ. კახაბერ ლორიას

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შემოსვლის № 30518/02
"14" 12 2010 წ.

ბატონო კახაბერ,

სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და მმართველობითი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საჭირო გახდა გარკვეული ცვლილებების შეტანა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში:

1. სასწავლო დეპარტამენტში განყოფილების სახით გაერთიანდა გასულ წლებში დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ფუნქციონირებადი <u>აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი</u> ორი საშტატო ერთეულით – განყოფილების უფროსი და მთავარი სპეციალისტი. დაზუსტდა დეპარტამენტის სახელწოდება ჩამოყალიბდა როგორც <u>"სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი"</u>

2. <u>სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში</u> გაუქმდა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის საშტატო ერთეული.

3. <u>შეიქმნა შიდა აუდიტის სამსახური</u> 6 საშტატო ერთეულით (სამსახურის უფროსი, აუდიტორი 2 ერთეული, ექსპერტი 3 ერთეული);

4. <u>განხორციელდა მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის საშტატო განრიგის ოპტიმიზაცია</u>: გაუქმდა მომარაგების განყოფილება და ავტოფარეხის უფროსის საშტატო ერთეული. დეპარტამენტის სამეურნეო განყოფილებას დაემატა მოადგილის (საწყობის გამგე) საშტატო ერთეული, საწყობის გამგე დღემდე მუშაობდა ხელშეკრულებით. ექსპლუატაციის განყოფილებას დაემატა განყოფილების უფროსის მოადგილის (ავტოფარეხის უფროსი) თანამდებობა. ბაგების სტუდქალაქში გაუქმდა მმართველის მოადგილის საშტატო ერთეული.

5. <u>გაუქმდა მონიტორინგის დეპარტამენტი და იგი განყოფილების სახით ჩამოყალიბდა პერსონალის მართვის დეპარტამენტში.</u> დეპარტამენტში გათვალისწინებულია ორი განყოფილება – პერსონალის მართვის და მონიტორინგის.

ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
http://www.tsu.ge; chancellery@tsu.ge
ტელეფონი: +995 32 223501
ფაქსი: +995 32 223501

6. <u>კანცელარიაში გაუქმდა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის</u> საშტატო ერთეული.

7. <u>იურიდიულ დეპარტამენტს დაემატა</u> დეპარტამენტის უფროსის მოადგილის საშტატო ერთეული.

8. <u>საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტს</u> დაემატა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის საშტატო ერთეული.

9. <u>კულტურისა და სპორტის ცენტრი რეორგანიზებულია დეპარტამენტად –</u> ორი განყოფილებით კულტურის და სპორტის. გაუქმდა ცენტრის უფროსის მოადგილის და დაემატა შესაბამისი განყოფილებების უფროსის 2 საშტატო ერთეული.

10. <u>ახალ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა</u> ენების შემსწავლელი ცენტრი – ცენტრის უფროსის, მთავარი სპეციალისტისა და მასწავლებლის 70 საშტატო ერთეულით

11. <u>ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე</u> ლაბორანტებისა და უფროსი ლაბორანტების საშტატო ერთეულები (სულ 14 ერთეული) შეიცვლება პროფესორის ასისტენტის საშტატო ერთეულებით. ფაკულტეტის საშტატო განრიგს დაემატა ლაბორატორიის გამგის 1 საშტატო ერთეული.

12. <u>ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე</u> სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევების სამსახური გაიყო ორ სამსახურად: სასწავლო პროცესის მართვის და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურებად, შესაბამისად გამოიყო სამსახურის უფროსებისა და სპეციალისტების საშტატო ერთეულები.

თსუ სტრუქტურულ ერთეულებში (ფაკულტეტების ჩათვლით) საშტატო განრიგით გათვალისწინებულია სპეციალისტების ორი კატეგორია მთავარი სპეციალისტი და უფროსი სპეციალისტი – შესაბამისი სახელფასო განაკვეთებით (სპეციალისტთა საჭირო რაოდენობა დასაქმდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე)

მომავალ, 2011 წელს, ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით დაიგეგმა ლაბორანტების, უფროსი ლაბორანტების, ინჟინრების და უფროსი ინჟინრების ხელფასის ზრდა თვეში 100 ლარით.

გთხოვთ, აღნიშნული ცვლილებების დამტკიცებას წარმომადგენლობითი საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ჩომახიძე